№102 ხუთშაბათი
24 დეკემბერი 2015 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

# გურია NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

## მეზობლებს შეფარებული 82 წლის ქალბატონი ხელისუფლების დახმარების მოლოდინში

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**82 წლის დინა ლომინაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიდში ცხოვრობს. მარტოხელა ქალბატონს სახლი რამდენიმე წლის წინ სტიქიამ დაუნგრია. დღეისთვის კი იქ ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია _ ჭერი და უკანა კედლები ჩამონგრეულია, კიბე _ მორყეული, იატაკი _ აყრილი.**

**კარგა ხანია, დინა ლომინაძე ხან ერთ მეზობელთან ათევს ღამეს, ხან _ მეორესთან, ახლა კი 82 წლის ქალბატონი მთელი ზამთარი ერთ-ერთმა მეზობელმა უნდა შეიფაროს.**

**მარტოხელა მოხუცის გასაჭირის შესახებ "გურია ნიუსს" ინფორმაცია ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე მოსწერეს.**



როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, დინა ლომინაძეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში უსახლკაროთა თავშესაფარში გადასვლა სთხოვეს, რაზეც 82 წლის მოხუცმა უარი თქვა.

*"მარტოხელა ვარ, არავინ არ ცხოვრობს ჩემთან. ორი ვაჟი მყავდა _ ერთი ავარიით დამეღუპა, შვილიც გარდაეცვალა. ძალიან გაწამებული ქალი ვარ. ვერ დავტოვებ სახლ-კარს, არ შემიძლია ჩემი სახლიდან მოშორებით ცხოვრება _ აქედან რომ წამიყვანონ, მაშინვე მოვკვდები. აქ თუ ცუდად გავხდები, მეზობელი წყალს მაინც დამალევინებს, მეორე მეზობელი პურს მომაწოდებს, მესამე _ ღამეს გამათევინებს. მესამე წელია ასეთ მდგომარეობაში ვარ. განცხადებები შეტანილი მაქვს ყველგან, თუმცა, არც ერთი ხელისუფლება არ დამეხმარა. ახლა მეზობელმა შემიფარა, მთელი ზამთარი ჩვენთან იყავიო. მანამდე ხან ერთ მეზობელთან ვიყავი, ხან _ მეორესთან. ასჯერ მივედი სოფლის გამგეობაში, მაგრამ უშედეგოდ.*

*ნახეთ, დაათვალიერეთ ჩემი სახლი, ასე ნანგრევებში თუ შეიძლება ცხოვრება?! მაწვიმს, მათოვს, ჭერი ჩამონგრეულია, იატაკი _ აყრილი. მარტო პენსია მაქვს და სოციალური დახმარება, მაგრამ წამლებში არ მყოფნის. უწამლოდ ხომ ვერ ვიქნები? არ მინდა სიკვდილი ჯერ და რა ვქნა?"* _ ამბობს "გურია ნიუსთან" მარტოხელა ქალბატონი **დინა ლომინაძე.**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ცხემლისხიდში დავით ჭანუყვაძე** ამბობს, რომ მარტოხელა მოხუცს დახმარებას აუცილებლად გაუწევს, თუმცა, როდის, ამაზე კონკრეტული პასუხი არ აქვს: *"როდის მოუგვარდება პრობლემები, ვერ გეტყვით, მაგრამ ის არის დასახმარებელთა სიაში, როგორც კი საშუალება გამოჩნდება, მაშინვე დავეხმარებით"*, _ გვითხრა გამგებლის წარმომადგენელმა.

ჭანუყვაძის თქმით, დინა ლომინაძეს სამშენებლო მასალებით დაეხმარებიან:

*"სახლი ნამდვილად ავარიულ მდგომარეობაშია. შევთავაზეთ ამ ქალბატონს, რომ შეგვეტანა საბუთები გამგეობაში და გადასულიყო საცხოვრებლად სოფელ მერიის თავშესაფარში, თუმცა იქ ცხოვრებაზე უარი განაცხადა, ამიტომ, როგორც კი გამოჩნდება საშუალება, მაშინვე დავეხმარებით"*, _ ამბობს ჭანუყვაძე.

## "ჩინური კომპანია მოსახლეობის მიწის ნაკვეთებს აზიანებს"

დავით მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**ჩინური კომპანია "ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს" მუშაობა, სოფელ ორმეთის შემდეგ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურის მოსახლეობამაც გააპროტესტა. ავდრის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობამ აქცია გამართა და სოფლის ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიის წარმომადგენლებისგან, რომლებიც აქ ხრეშის მოპოვებას ახდენენ, მუშაობის შეწყვეტა მოითხოვა.**

ადგილობრივების განცხადებით, ჩინური კომპანიის წარმომადგენლები მდინარე სუფსის შენაკადის _ მამათისღელის კალაპოტიდან ხრეშის მოპოვებას დაუშვებელი მეთოდებით ახორციელებენ და ეს სამუშაოები მოსახლეობის ნაკვეთებს აზიანებს. სილაურელთა თქმით, სამუშაოებისას კალაპოტის დაღრმავება და გაფართოება მოხდა, რის შედეგადაც, მათი საყანე და თხილის ნაკვეთებთან მისასვლელი გზის და უშუალოდ ნაკვეთების მომიჯნავე ტერიტორიის დაზიანება მოხდა.

**აქციის მონაწილე დათო ჩხარტიშვილი:** *"სუფსა-მამათისღელის შესართავთან ყანის ნაკვეთი მქონდა, რომლის ფართობი 8 ათასი კვადრატული მეტრი იყო, ახლა 1 500 მეტრი თუ იქნება დარჩენილი. ეს დანაკარგი ბოლო წლებში მდინარე სუფსაზე ხრეშის კარიერის მუშაობამ გამოიწვია, რა დროსაც მდინარე სუფსა სილაურის მხარეს დააღრმავეს და ხრეშის მოპოვებას ახდენდნენ. შედეგად მდინარემ ჩემი ნაკვეთის უდიდესი ნაწილი წაიღო და ახლა ეს უცხოელები დარჩენილ მიწასაც წამართმევენ".*

მოსახლეობამ ჩინური კომპანიის მისამართით უფრო მძიმე ბრალდებაც გააჟღერა _ მათი თქმით, უცხოელებმა კერძო საკუთრების უფლება დაარღვიეს და მოქალაქე ილო კილა-

▶ა-4

## მთავარი თემა

ირაკლი ღარიბაშვილი: "მომავალი წლის ივლისიდან პენსია 180 ლარი გახდება"



*(გურია ნიუსი, თბილისი)* _ მომავალი წლის ივლისიდან პენსია 180 ლარი გახდება, _ ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის საქმიანობის საწლიანი ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მისი თქმით, მთაში პენსია 216 ლარი იქნება. პრემიერის ინფორმაციით, ჯამში, პენსიის ზრდისთვის ბიუჯეტიდან 1 მილიარდ 600 მილიონი ლარი გამოიყოფა.

"ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლიდან ესაა 80-ლარიანი მატება. ცხადია, ეს საკმარისი არ არის იმ ხალხის დასაფასებლად, რომლებიც ერთგულად ემსახურნენ ქვეყანას. მაგრამ ეს არის ის, რისი გაკეთებაც სახელმწიფოს დღეს შეუძლია. საკითხის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად ინტენსიურად ვმუშაობთ პენსიის დაგროვებითი სისტემის დასანერგად", _ განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.




ბანერების,
სარეკლამო ფურცლების,
კალენდრების, ფლაერების,
მოსაწვევი ბარათების,
სერთიფიკატების, ეტიკეტებისა
და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის
დამზადება-ბეჭდვა;

ფოტოების დამუშავება,
გადიდება, ბეჭდვა;

კომპიუტერული მომსახურება

ეს ყველაფერი
ყველაზე იაფად
და ხარისხიანად!

მისამართი:
ჩოხატაური, დუმბაძის 25
ტელეფონი:
551373636; 577625007

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების
შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს
რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები
ინახება ორი კვირის განმავლობაში;
ამ ვადის გასვლის შემდეგ
პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს
სამ ხელნაწერ გვერდზე
ვრცელ მასალას და
შეუკვეთავ წერილებში
ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა რედაქციის
ნებართვის გარეშე
აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

**განცხადებების ფასები**

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _
დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება
შესაბამისი გვერდის ფასის _
400 ლარის მიხედვით.

**რეკლამის ფასები**

**არაპოლიტიკური რეკლამა:**
**1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი**
**(მთლიანი გვერდის ზომაა**
**1000 კვადრატული სანტიმეტრი)**

**პირველ გვერდზე (ფერადი): _**
**1.75 ლარი;**
**მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:**
**_ 0.4 ლარი;**
**ბოლო გვერდზე (ფერადი) _**
**0.70 ლარი;**
**დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.**

**შავ-თეთრი გვერდის ფერადად**
**დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.**

**პოლიტიკური რეკლამის**
**ღირებულება ორმაგია.**

*გაზეთი დაბეჭდილია*
*შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.*
*მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,*
*ტელ: 2343330.*
*ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

## სრულიად საქართველოს, ჩემს გურიას და უსაყვარლეს ლანჩხუთელებს! დამდეგ შობა–ახალ წელს გილოცავთ!

დაე, 2016 წელი სიკეთის, ხვავის, ბარაქის, წარმატებების და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს!

დაგბედებოდეთ ბედნიერება და უფლის წყალობა მარადიული!

*პატივისცემით,*
*ია ჩხაიძე,*
*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*
*სოციალურ საკითხთა, განათლების,*
*კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა*
*კომისიის თავმჯდომარე*



## ჩემო ქვირფასო ლანჩხუთელებო!

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, შობას, კალანდას!

სიუხვე, სიკეთე და ჯანის სიმრთელე მისურვებია!

უფლის წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!

*თამარ ფირცხალაიშვილი,*
*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის*
*სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა*
*და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი*



## ჩემო საყვარელო ლანჩხუთელებო, გურულებო!

სიყვარულით, სითბოთი და უდიდესი პატივისცემით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ, ძლიერ, გამთლიანებულ და ღირსეულ საქართველოში გეცხოვროთ!

უფლის შემწეობა არ მოგკლებოდეთ!

*პატივისცემით,*
*დარეჯან ბურჭულაძე,*
*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი*

## ქვირფასო გურულებო, ჩემო ლანჩხუთელებო!

გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ჯანმრთელობის, ბედნიერების, წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის დამდეგი წელი!

იხარეთ და იმრავლეთ!

*საუკეთესო სურვილებით,*
*გოგი ფაცურია,*
*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის,*
*ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების*
*სამსახურის უფროსი*



გურია NEWS

**სარეკლამო სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**

დაგვირეკეთ: 577725854

## სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

### საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

### თავი III. ინფორმაციის თავისუფლება

### მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

**მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

## "გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

# კომისიების სხდომებზე ჩავარდნილი ბიუჯეტის პროექტი

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

**მომავალი წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტის შესწორებულ პროექტზე მსჯელობა ლანჩხუთის საკრებულოს სხდომაზე მომავალ პარასკევს გაიმართება. მანამდე კი აღნიშნულ დოკუმენტს ფრაქციებისა და კომისიების სხდომებზე განიხილავენ.**

**როგორც გაირკვა, 2016 წელს ძირითადი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული სამუშაოების გახორციელებაა.**

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის, ლევან ჩხაიძის ინფორმაციით, ინფრასტრუქტურული პროექტები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს _ მოწესრიგდება გზები, წყლის სისტემები. მუნიციპალიტეტში სამი ახალი საბავშვო ბაღი აშენდება, ხოლო შუხუთის ადმინისტრაციაში არსებულ ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ასევე, იგეგმება სპორტული სკოლის შენობის დაპროექტებაც.

ამ პრიორიტეტების წარმოჩენის ფონზე აღმოჩნდა, რომ გამგეობის მხრიდან წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტს დადებით შეფასებას უმრავლესობის ზოგიერთი წევრიც ვერ აძლევს. უფრო მეტიც _ ბიუჯეტის არსებულ ვარიანტს მხარი არ დაუჭირა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შვიდი წევრიდან ექვსმა დეპუტატმა. შენიშვნა, ძირითადად, საკუთარი შემოსავლების მუხლს ეხებოდა, რომლის შესრულება ნამდვილად იწვევს ეჭვს. კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ ამ მუხლში წარმოდგენილი თანხა 2 მილიონ 500 ათას ლარამდე უნდა შემცირდეს. არადა, გამგეობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში საკუთარი შემოსავლები 3 მილიონ 958 ათას 200 ლარია. ამ მხრივ გამოითქვა მოსაზრება, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს შემცირება და რაც მთავარია, რის ხარჯზე. კომისიამ დაადგინა, რომ საამისოდ საფეხბურთო კლუბ "გურიას" 300 ათასი ლარით უნდა შეუმცირდეს დაფინანსება. ამას გარდა, საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოხელეთა ხელფასები დაგეგმილი 14 თვის ნაცვლად 13 თვით აისახოს. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ა(ა)იპ-ებში შტატები ძირეულად შემცირდეს და ამის ხარჯზე გამოთავისუფლდეს, დაახლოებით, 800 ათასი ლარი. ამ მოთხოვნების გარდა, სხვა საბიუჯეტო ცვლილებების მომხრე არიან კომისიის წევრები და მხოლოდ ამის შემდეგ დაუჭერენ ისინი მხარს ახალ ბიუჯეტს.

გაცილებით შორს წავიდა ბიუჯეტის პროექტზე მსჯელობისას სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. კომისიის წევრების მხრიდან გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭიროს. მათი თქმით, ბოლო ორი წლის მანძილზე ტენდენციად იქცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არშესრულების ტრადიცია. აქედან გამომდინარე, ისინი ვარაუდს გამოთქვამენ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ხელოვნურად გაზრდილი საშემოსავლო ნაწილი ვერ შესრულდება.

წინასწარი ვარაუდით, ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, მწვავე მსჯელობა იქნება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზეც. კომისიის ცალკეულ წევრებთან საუბრისას იკვეთება, რომ მათ უმრავლესობას ძირითადი შენიშვნები, სწორედ, საკუთარი შემოსავლების მუხლთან დაკავშირებით გააჩნიათ.

# მთავრობამ ლანჩხუთის ბიუჯეტს 200 ათასი ლარი "შეაშველა"

***(გურია ნიუსი, ლანჩხუთი)*** _ ცენტრალური მთავრობის დადგენილებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში დამატებით 200 ათასი ლარის მობილიზება მოხდა. ამის შესახებ ინფორმაცია **გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ** გააჟღერა: *"მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და წლის მიწურულს დამატებით მიმდინარე ხარჯებისთვის 200 ათასი ლარი გამოგვიყო. გამგებელმა მთავრობის წინაშე დასვა ეს საკითხი, შემდეგ შევათანხმეთ ფინანსთა სამინისტროსთან და მოგვცეს აღნიშნული თანხა. აქედან გამომდინარე, გარკვეული სახის კორექტივა შევა იმ 154 800 ლარში, რომლის შემცირებაც ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში იგეგმებოდა. ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა და დაზუსტდება, კონკრეტულად რა და როგორ გახორციელდება",* _ თქვა ლაშხიამ.

თავის მხრივ, მთავრობის მხრიდან გახორციელებულ ზემონახსენებ ქმედებას ოპოზიციონერი დეპუტატები უპრეცენდენტო ფაქტად აღიქვამენ და ამბობენ, რომ ზემონახსენები ქმედება მთვარობის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ როგორმე შესრულდეს ადგილობრივი ბიუჯეტი.

როლანდ ლაშხიას ინფორმაციით, მიმდინარე წლის მუნიციპალიტეტის მთავარ საფინანსო დოკუმენტს, რომლის შესრულების მაჩვენებელი ამ ეტაპზე 83%-ია, ჩავარდნის საშიშროება ნამდვილად არ ემუქრება.



**როლანდ ლაშხია** | ფოტო: სოფო წილოსანი


## ქვირფასო ოზურგეთელებო, გილოცავთ დამდეგ შობა- ახალ წელს!

მომავალი წელი
ჯანმრთელობის, ბედნიერების,
წარმატების წელი ყოფილიყოს
თითოეული თქვენგანის
ოჯახისთვის!

*დიდი სიყვარულით,*
*ნათია შარაშენიძე,*
*ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*საკრებულოს დეპუტატი*





## დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ჩემო ოზურგეთელებო!

გისურვებთ,
2016 ყოფილიყოს
თქვენი სურვილების
ასრულების წელი!

იყავით ბედნიერები,
ჯანმრთელები და
წარმატებულები!

*პატივისცემით,*
*ბესიკ მელუა,*
*ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის*
*ადმინისტრაციული*
*სამსახურის უფროსი*



## სრულიად გურიის მოსახლეობას! ჩემს საყვარელ სოფელ ოზურგეთის მცხოვრებლებს! გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ჯანმრთელობის, ბედნიერების
და წარმატებების წელი
ყოფილიყოს
ყველა ოჯახისთვის!

ფეხბურთის ყველა მოყვარულს,
დიდსა თუ პატარას _
გილოცავთ!

*პატივისცემით.*
*ირაკლი ჩხაიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ*
*ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი*



## გილოცავთ დამდეგ შობა- ახალ წელს!

ყველაფერი ღირებული დაგბედებოდეთ,
მადლიერი ადამიანების რიცხვი
გაგმრავლებოდეთ!

სიყვარულით და
ერთმანეთის თანადგომით ვიცხოვროთ!

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

*პატივისცემით,*
*ამირან ბასილია*
*შპს "ვექტორის" დირექტორი*



## ჩემო გურულებო, ოზურგეთელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ხვავსა და ბარაქას!

ახალი 2015 წელი ყოფილიყოს სიახლეების, წარმატებებისა და წინსვლის დასაბამი!

ყველა ოჯახს დაჰბედებოდეს დიდი სიყვარული, ლამაზი ოცნებების ახდენა, გამრავლება!

გამთლიანებულ და ბედნიერ საქართველოში გვეცხოვროს!

*პატივისცემით,*
*ბადრი გობრონიძე,*
*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*



## ძვირფასო ჩოხატაურელებო, თანამემამულენო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ხვავი, დოვლათი არ გამოგლეოდეთ!

ვისურვოთ საყოველთაო მშვიდობა, ერის გაძლიერება, შვილთამრავლობა!

*პატივისცემით,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური*



## ჩვენო საყვარელო ჩოხატაურელებო!

**ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2016 წლის შემობრძანება ჩვენს ქვეყანაში, თითოეული ჩვენგანის ოჯახში!**

**ვისურვოთ ფუძის სიძლიერე, ჯანმრთელობა, შვილთა სიმრავლე, ხვავი და ბარაქა!**

*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური*




# საკადრო ცვლილებები გურიის პოლიციაში

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**"გურია ნიუსის" წყაროს ინფორმაციით, შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში რამდენიმე დღის წინ საკადრო ცვლილებები გახორციელდა _ თანამდებობა დაატოვებინეს უბნის ინსპექტორთა სამმართველოს უფროსს გიორგი კვირჩილაძეს.**

"გურია ნიუსი" გიორგი კვირჩილაძეს და გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსს _ კობა ცერცვაძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე არაერთხელ წერდა.

კვირჩილაძესა და ცერცვაძეს შორის დაძაბული ურთიერთობა, ერთხელ კვირჩილაძის პატაკის დაწერით დასრულდა _ იგი თითქოს ჯერ შვებულებაში უნდა გასულიყო, შემდეგ კი სამსახურში ვეღარ დაბრუნდებოდა. თუმცა "გურია ნიუსის" წყაროს ინფორმაციით, უბნის ინსპექტორთა სამმართველოს უფროსმა მისი თანამდებობაზე დატოვების საკითხი მაინც "გაარკვია" და ის დღემდე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

რამდენიმე დღის წინ, კვირჩილაძემ ბიულეტენზე გასვლაც ითხოვა, თუმცა, სამსახურში ისევ დაბრუნდა, რის შემდეგაც, წყაროს თქმით, ცერცვაძესა და კვირჩილაძეს შორის დაძაბული ურთიერთობა ლამის ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა, რაც საბოლოოდ კვირჩილაძის სამსახურიდან გათავისუფლებით დამთავრდა.

"გურია ნიუსის" წყაროს ინფორმაციით, კვირჩილაძეს შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსობა სურდა. მან დაიწყო კადრების "დალაგება" სამხარეო მთავარ სამმართველოში, ოზურგეთის რაიონული სამმართველო კი ფაქტობრივად, დაშალა, საკუთარი ინიციატივით გადაიყვანა ოზურგეთის რაიონული სამმართველოდან გურიის სამხარეო სამმართველოში პოლიციელები გურამ სალუქვაძე, ლაშა შარაშიძე. კვირჩილაძის გუნდში მოიაზრებოდნენ ჩოხატაურის პოლიციის ყოფილი უფროსი ტატო ვასაძე და მოადგილე გოჩა თავაძეც.

გიორგი კვირჩილაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, აღნიშნული პიროვნებები თავიანთ პირვანდელ პოზიციას დაუბრუნდნენ.

"გურია ნიუსის" წყაროს ინფორმაციით, ახალი წლიდან საკადრო ცვლილებების გახორციელება შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში კვლავ იგეგმება, რომელიც თანამდებობის პირებსა და რაიონების სამმართველოს უფროსებს შეეხება.

ჩვენ დავუკავშირდით **შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოს უფროსს კობა ცერცვაძეს**, რომელმაც შსს პრესსამსახურისკენ გადაგვამისამართა, ჩვენთან ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა **გიორგი კვირჩილაძემაც.**

შსს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით კომენტარს ვერ გააკეთებენ.

# "ჩინური კომპანია მოსახლეობის მიწის ნაკვეთებს აზიანებს"

ა-1▶

ძის მიწის ნაკვეთი შეგნებულად დააზიანეს: *"ილო კილაძის კუთვნილი მიწა ექსკავატორებით მოთხარეს. მისი ღობე დაზიანებულია, მისი კუთვნილი მიწა მიიტაცეს და ახლა ამ მიწაზე მანქანებით გადაადგილდებიან,"* _ აცხადებენ სილაურელები.

მოსახლეობის თქმით, სოფლის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი რიგით მეორე კომპანიაა. მათი თქმით სოფლის ტერიტორიაზე არსებული ქვიშა-ხრეშით მხოლოდ ეს კომპანიები სარგებლობენ და სანაცვლოდ სოფელს არასდროს არანაირი სარგებელი არ მიუღია.

**აქციის მონაწილე გია გოგუაძე:** *"ჩინური კომპანიის სატვირთო მანქანები 14-16 კუბური მეტრი ხრეშით იტვირთებიან და შემდეგ ისედაც დაზიანებული ასფალტის გზით სარგებლობენ. ასეთ დაზიანებულ გზაზე 40 ტონა სიმძიმის მანქანები რომ ივლის, მალე ჩვენი გზა სრულიად უვარგისი გახდება".*

**ლევან კილაძე:** *"ამ სამუშაოებით საფრთხე 13 ოჯახს ექმნება, რომლებსაც მამათისღელის მომიჯნავედ საყანე და თხილის ნაკვეთები აქვთ. ექსკავატორებმა ღელის კალაპოტი გამოთხარეს, მისასვლელი გზა დააზიანეს და ჩვენ ნაკვეთებს მიუახლოვდნენ. კალაპოტი ისეა დაღრმავებული, რომ წყლის ნაკადი ჩვენ ნაკვეთებს ძალზე დააზიანებს, ხოლო სუფსის ადიდების შემთხვევაში, რაც აქ ჩვეული მოვლენაა, შეიძლება არაფერი დაგვრჩეს".*

სილაურის მოსახლეობა გარემოს დაცვის სამინისტროს მუშაობითაც არის უკმაყოფილო: *"საკუთარ სოფელში სილაურელმა ერთი კუბური მეტრი ხრეში თუ სილა რომ აილოს, გარემოს დაცვა იმ წუთში აქაა და ისედაც გაჭირვებულ ხალხს ასეულობით ლარით აჯარიმებს. ახლა ჩვენს ნაკვეთებს ანადგურებენ და არავინ გამოჩენილა. თევზაობაზე საუბარი ხომ საერთოდ ზედმეტია _ ამის გამო პატიმრობა გვემუქრებოდა. ამ ღელეში თევზი ქვირითის დასაყრელად შემოდის და ისედაც მრავლად იყო, ამ სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში საერთოდ განადგურდება. ახლა სად არის გარემოს დაცვა, ახლა რატომ არ ანაღვლებთ ფლორისა და ფაუნის პრობლემები?!"* _ აცხადებენ სილაურელები.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამგებლის წარმომადგენელს და სოფლის დეპუტატს დავუკავშირდით, რომლებმაც შემდეგი განმარტებები გააკეთეს:



**გამგებლის წარმომადგენელი ზური ტუღუში:** *"ჩვენ მოსახლეობას თანავუგრძნობთ და მიგვაჩნია, რომ სამუშაოების გახორციელებისას მოსახლეობა არ უნდა დაზარალდეს. 30 აპრილს ჩინურმა კომპანიამ სამუშაოების წარმოების უფლება და შესაბამისი ლიცენზიაც ოფიციალურად მიიღო და მისი შეჩერების უფლება ჩვენ არ გვაქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად არაფერს გავაკეთებთ. ამ საკითხზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს".*

**სოფლის დეპუტატი გოჩა კილაძე:** *"ჩემთვის ცნობილია ამ პრობლემის შესახებ, ახლა უშუალოდ გავეცანი სიტუაციას. ჩვენი ინიციატივით, მუნიციპალიტეტის გამგეობა შესაბამის სტრუქტურებს შუამდგომლობით მიმართავს, სამუშაოების ისეთ ადგილზე გადატანა მოხდეს, რომ მოსახლეობა არ დააზარალოს".*

"არჩევანი _ მე!" _ ბეჭდური ვერსია

# "ხომ ხედავთ, ახალგაზრდებს თქვენს ეთერში გაცემული რამდენი დაპირება შევუსრულეთ?!"

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**"გურია ნიუსის" და "POST ალიონის" ერთობლივი პროექტი 6 თვეა მიმდინარეობს. ამ დროის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 4 შეხვედრა ჩავატარეთ, ბევრ ახალგაზრდას შევხვდით, მათ მიერ დასმული პრობლემები ხელისუფლებასთან მივიტანეთ და მოგვარების პირობაც მივიღეთ. რა გაკეთდა, რა უნდა გაკეთდეს და რა ვერ გააკეთეს _ ამ კითხვებზე პროექტის შემაჯამებელ გადაცემაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ზაზა ურუშაძემ ისაუბრა.**



**ზაზა ურუშაძე გადაცემაში _ "არჩევანი _ მე!"** | ფოტო: დავით ჩხიკვაძე

საუბარი დავიწყეთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ დასმული პრობლემების განხილვით _ ჩვენი პროექტის დასაწყისში, 6 თვის წინ, ურუშაძემ აღნიშნა, რომ სუფსაში აუცილებლად გაკეთდებოდა სკვერი და ახალგაზრდებს გასართობი ადგილი ექნებოდათ. **ზაზა ურუშაძის** თქმით, პირობა შესრულებულია:

*_ რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა და უკვე დავასრულეთ. პრეზენტაციაც კი არ გვქონია ჯერ. სუფსის რკინიგზის სადგურის უკანა მხარეს ძალიან ლამაზი სკვერი გაკეთდა. წლების განმავლობაში, ბოდიში ამ სიტყვისთვის, მაგრამ "მინაგვებული" იყო ის ადგილი. ახლა გაკეთდა განათებები, ატრაქციონები. იქვეა ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს ბევრი აქტივობის განხორციელება შეუძლიათ. ეს იყო ახალგაზრდების თხოვნა, მოთხოვნა და მიხარია, რომ შევასრულეთ. 250 000 ლარამდე დაჯდა ამ სკვერის გაკეთდება და თანხა ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გამოიყო. სუფსა დიდი სოფელია, შეიძლება დაბად ჩაითვალოს და ეს იქნება ახალგაზრდების თავშეყრის ერთ-ერთი ადგილი.*

***_ ბატონო ზაზა, სუფსაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა "თავისუფალ მიკროფონთან" აღნიშნეს, რომ მათი ერთ-ერთი მოთხოვნა რკინიგზის სადგურის მოწესრიგებაც იყო. თქვენც პირობა მოგვეცით, რომ ამ პრობლემას მოაგვარებდით...***

*_ როცა დავინიშნე, ჩემდა გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ სადგური მუნიციპალიტეტის ბალანსზე იყო. რატომ და რისთვის, ვერ გავიგე. რამდენიმე დღის წინ ვესაუბრეთ რკინიგზის ხელმძღვანელობას და სადგურს მათ გადავცემთ. მივიღეთ პირობა, რომ ობიექტის გადაცემის შემდეგ ტენდერი გამოცხადდება და სადგური გარემონტდება. ასევე, განხილვის სტადიაშია თემა, რომ სუფსაში ჩქაროსნული მატარებლებს გაჩერება ჰქონდეთ. გვინდა, რომ სუფსა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყოს. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ტურისტი ჩამოვიდეს არა ურეკში, არამედ სუფსაში, სადაც ლამაზი ცენტრი დახვდება. ასევე, ვაპირებთ იქვე გავაკეთოთ სანაყინე და ყავის სახლი.*

***_ ამას მუნიციპალიტეტი აკეთებს თუ ინვესტორი გყავთ?***

*_ თუ ინვესტორი გამოჩნდება, კარგი იქნება, თუ არადა, მუნიციპალიტეტი შეძლებს გაკეთებას.*

***_ მუნიციპალიტეტი ბიზნესს იწყებს?***

*_ მუნიციპალიტეტი ბიზნესს არ გააკეთებს, თუმცა, გვაქვს იმის უფლება, რომ გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც შემოსავალს მოგვიტანს. მაგრამ ამის პარალელურად ვმუშაობთ ინვესტორების მოძებნაზეც.*

ურუშაძის თქმით, უკვე შესრულებულია ერთ-ერთი დაპირება _ გრიგოლეთში გარეგანათების მოწყობა დასრულებულია. მისივე თქმით, მომავალ წელს გაკეთდება შიდა გზები, აუცილებლად დასუფთავდება სანაპირო და დაპირებისამებრ, ყველა ლანჩხუთელ ახალგაზრდას ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს გრიგოლეთის ახალგარემონტებული საფეხბურთო ბაზა.

ურუშაძე ბაზით სარგებლობას გურიის სხვა მუნიციპალიტეტებსაც სთავაზობს და ამბობს, რომ პრობლემა არც ერთ სპორტსმენს არ ექნება.

ლანჩხუთის გამგებლის თქმით, წელს, მუნიციპალიტეტს 160 ახალი ნაგვის ურნა და ორი ახალი ავტომანქანა შეემატა, რამაც დასუფთავების პრობლემა მეტ-ნაკლებად მოაგვარა.

*_ ხომ ხედავთ, ახალგაზრდებს თქვენს ეთერში გაცემული რამდენი დაპირება შევუსრულეთ?!* _ თქვა გამგებელმა.

ზაზა ურუშაძის თქმით, 2016 წელს სრულიად განახლდება ქალაქ ლანჩხუთის ცენტრი, გაკეთდება ახალი სკვერები, დაიგება ქვაფენილები, გამოიცვლება დასასვენებელი სკამები, დაიდგმება ღია ეკრანები, რომლის ამუშავებას ახალგაზრდები დიდი ხანია ითხოვენ. ჩვენი პროექტის მიმდინარეობისას, ამ მიზნით, პროექტორის შეძენაც მოხერხდა და ღია ცის ქვეშ ფილმის გაშვებაც.

ურუშაძის თქმით, დაპირება შეუსრულეს ნიგვზიანში მცხოვრებ ახალგაზრდებსაც:

*_ 40 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნიგვზიანში წყალი და ახლა დაახლოებით 100 ოჯახს მიეწოდება. 4 კილომეტრზე გავიყვანეთ მაგისტრალი. 28 სოფელში აღვადგინეთ წყლის სიტემა და 2016 წლის ბოლომდე ყველა სოფელს ექნება წყალი.*

რამდენიმე დაპირების შესრულების მიუხედავად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ამ დრომდე ვერ მოახერხა კალათბურთის გატეხილი ფარის შეცვლა. ურუშაძის თქმით, ეს პრობლემა მისთვის უცნობია, თუმცა, ეს თემა კარგადაა ნაცნობი მისი თანამშრომლებისთვის, რომლებმაც გაკეთების პირობა დადეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ტყუილად. ურუშაძის თქმით, სიტუაციას გაარკვევს და კალათბურთის ფარსაც აუცილებლად შეიძენენ.

მისივე განმარტებით, მომავალ წელს აუცილებლად გაკეთდება ხელოვნურსაფარიანი სტადიონებიც, რომლის მოუვლელობის გამო, ოპონენტები ხშირად აკრიტიკებენ:

*_ მე თუ სტადიონის და ფეხბურთის მოვლა მაკლია, რა უნდა ვთქვა?! თუმცა, ერთი ხელის მოსმით არ შეგვძლია 9 წლის მანძილზე დანგრეული ავაშენოთ. როცა მოვედი, განადგურებული და გაპარტახებული დამხვდა ყველაფერი.*

***_ ხელოვნურსაფარიანი მოედნები წინა ხელისუფლების დროს კარგად იყო მოვლილი...***

*_ ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, ამ წელში ეს პრობლემა მოიხსნას, ფარიც დაიკიდოს.*

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი პირობას დებს, რომ მომავალ წელს ახალგაზრდებთან უფრო ინტენსიური ურთიერთობა ექნებათ: *_ მე მაქვს ფეისბუქის საკუთარი გვერდი, ელექტრონული ფოსტა, ჩემი კარი მუდმივად ღიაა. არავისთან არ მაქვს კომუნიკაციის პრობლემა და მით უმეტეს, ახალგაზრდებთან. აქტიურად ვთანამშრომლობთ ახალგაზრდულ საკრებულოსთან, ვიზიარებთ მათ იდეებს და ასე იქნება მომავალშიც. ვერ ვიტყვი, რომ პრობლემები არაა, თუმცა, ვეცდებით გამოვასწოროთ. მე ყველა ახალგაზრდას ვთხოვ, მოვიდნენ, მომწერონ, შეიკრიბონ, მითხრან ადგილი, სადაც სურთ ჩემთან შეხვედრა და მე მზად ვარ ამისთვის.*

გადაცემაში სტუმრობისას, ზაზა ურუშაძემ გაბერილ შტატებზე, ახლობლების დასაქმებაზე, საფეხბურთო კლუბ "გურიაზე" და დახარჯულ მილიონებზეც ისაუბრა.

გამგებლის თქმით, საჯარო სამსახურში მისი არც ერთი ნათესავი არ მუშაობს. რაც შეეხება მეგობრებს, ამბობს, რომ ლანჩხუთი პატარა ქალაქია და ყველა ყველას მეგობარია.

ზაზა ურუშაძის თქმით, საახალწლოდ განსაკუთრებულ კონცერტებს არ გეგმავენ, თუმცა განწყობის ასამაღლებლად ბევრ რამეს გააკეთებენ და საახალწლო მორთულობაც განსხვავებული იქნება.

**გადაცემის სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ ჩვენ ვებ გვერდზე www.gurianews.com, რუბრიკაში _ "არჩევანი-მე!"**




"Post_ალიონის", "გურია ნიუსის" და "21-ს ქვევით" ერთობლივი პროექტი ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მხარდაჭერით.

## ჩოხატაურელებო, ჩვენო ძვირფასებო!

გილოცავთ შობა-ახალი წლის
შემობრძანებას,
განსაკუთრებით კი თქვენ,
ასაკმოჭარბებულო ადამიანებო _
დიდხანს იცოცხლეთ, იხარეთ!

ჩვენი შესაძლებლობის
მაქსიმუმს გავაკეთებთ
თქვენთვის!

მუდამ თქვენ გვერდით
გვიგულეთ!

*სიყვარულით,*
*საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება,*
*ჩოხატაურის ადგილობრივი ფილიალი*



## ჩოხატაურელებო,
## გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას!

წარმატებებით, ხვავით,
ბარაქით, სიხარულით,
თანადგომით, ქველმოქმედებით
დატვირთული ყოფილიყოს
2016 წელი!

ერთად ვილვაწოთ
ჩოხატაურის წინსვლისთვის!

*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*საფინანსო სამსახური*

## ხსოვნა



ნორა მეგრელიშვილი თანაუგრძნობს ირმა, გუგული თოლორდავებს ბიძის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.



გულივერ თოლორდავა ოჯახით იუწყება ძმის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას.



რაიუნივერმაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუიზა თავბერიძეს მაზლის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

ციალა და ვახტანგ სიხარულიძეები თანავუგრძნობთ გულნაზ, კაკო სიხარულიძეებს

**სიმონა დოლიძის**

გარდაცვალების გამო.



ოთარ ალექსანდრიდი ოჯახით მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

**არსენ თავბერიძის**

გარდაცვალებას.

ფილიპე და ხასან ჯაშები ოჯახით იუწყებიან

**ლოდერ ჯაშის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დედმამიშვილებს, ოჯახს და ახლობლებს.



ომარ, ზვიად, ბაჩუკი მამალაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ გულივერ, ავთანდილ და ტარიელ თოლორდავებს ძმისა და მამის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

გურამ, გელა შათირიშვილები, გოჩა კიკვაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გელა ვაჩეიშვილის ოჯახს შვილის გარდაცვალების გამო.



ერეკლე ბერიშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობას უცხადებს რუსიკო ბერიშვილს და მის ოჯახს.

**რუსუდან მასწავლებელო!**

თანაგიგრძნობთ მეუღლის, კაცური კაცის

**ანზორის**

გარდაცვალების გამო.

*ალეკო ცინცაძე*

## განცხადებები


### ყურადღება!

თუ თქვენ დაკავებული ხართ სამსახურის საქმეებით, თუ თქვენ მშობლიურ სახლს მხოლოდ სადღესასწაულო ან უქმე დღეებში სტუმრობთ და გსურთ სუფთა სახლში იცხოვროთ, საფუძვლიანად მოვლილ და დასუფთავებულ ეზოში ისეირნოთ, ამაში ჩვენ დაგეხმარებით!



(593) 367576.

### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით: მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა _ 60 ლარი. საფლავის გამზადება. სასახლე _180 ლარიდან. საჭიროების შემთხვევაში, ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.

ჩოხატაური. ამირან ჭეიშვილი.

(593) 531391, (599) 784506.

### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას: მაცივარი და ჩაცმა 60 ლარიდან, გამზადებული სასახლეები 180 ლარიდან, სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები.

სრული სერვისის შემთხვევაში სუდარა უფასოდ.

(599) 903501, (579) 231023,

### ყურადღება!

ვიბარებ ნებისმიერი წონის ღორებს. უმაღლეს ფასებში.

(593) 223336 _ გელა.
(595) 242327 _ ბექა.


## უფასო განცხადებები

### იყიდება

"ზიმფერის" ფირმის გაზქურა. ჩოხატაური, ტელ: (574) 086078.

კაკლის ხის გასაშლელი მაგიდა, 15 ადგილიანი. გერმანული ხალიჩა 2/3-ზე. წიგნის თარო 2 ცალი დასაშლელი გარაჟი თუნუქის სახურავით, რკინის კარით. ტელ: (599) 202521.

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (595) 536794.

2 ცალი, 400-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი 300-ლიტრიანი, 2 ცალი ტონიანი კასრები და საწნახელი. ღვინო "ცოლიკაური", ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა 100 მ. 28-იანი, 100 მ. 25-იანი და 50 მ. 32-იანი მილები. ტელ: (551) 328714.

"ზიმფერის" ფირმის ელექტრო ღუმელი. ტელ: (595) 185715.

ავტოფარეხი 16 კვმ. რკინის ფირფიტებით გაკეთებული, გამოდგება "კუხნადაც". ფასი შეთანხმებით. ტელ: (599) 198217.

რუსეთის არმატურა, 22-იანი, 186 ცალი, 2.5 მ-იანები. ტელ: (568) 809690.

100 ცალი აკაციის ბოძი, 2.2 მ-იანები. ტელ: (595) 478498.

ბავშვის ლოგინი, მრავალფუნქციურისარწეველით, ლეიბით, მატრასით, 6 დიდი უჯრით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი. ტელ; (551) 086577.

თურქული ტიპის, მეორადი ღუმელი "დუხოვკით", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (599) 244479.

სასიმინდე და "კუხნა", გამოდგება ძროხის ბინად. კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 134236.

კედელი ("სტენკა"), მეორადი. საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ: (551) 121139.

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში (კანადური), ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 121139.

წისქვილი ფაზა ნოლიანი, 62 სმ-იანი ქვით. ტელ: (599) 376292.

გაზის გამათბობელი. რკინის ბატარეები სხვადასხვა ზომის. ფასი შეთანხმებით. ტელ: (599) 776855, (557) 233896.

გერმანული ხარისხის "ლამინირებული იატაკი", 9 კვმ. ფასი 120 ლარი. ტელ: (551) 086577.

XBOX ახალი, 12 ცალი თავისი დისკებით (ორიგინალი). ფასი 650 ლარი. ტელ; (551) 086577.

ბამბუკის მესერი. ჩოხატაური, ტელ; (599) 128311, (790) 310804.

გაზის გამათბობელი "კარმა", მეორადი, კარგ მდგომარეობაში, შეღავათიან ფასში. ტელ: (593) 309320.

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში. ტელ: (593) 588400.

მოსაჭრელი თელას ხეები, სამასალედ. ტელ: (555) 694942, (593) 212542.

რკინის კარი, ხის კარ-ფანჯარა, რკინის ჭიშკარი, დიდი ზომის, ერთი ცალი. ტელ: (571) 161958.

აბანოს წყლის გამათბობელი შეშაზე, საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ: (577) 955562.

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით (სველი წერტილი აივანზე), სარდაფით (სურვილის შემთხვევაში ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით). ტელ: (591) 002611, (591) 333867, (568) 449982.

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე. ტელ: (595) 948148.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, ხის სახლი, 2-ოთახით, დამხმარე ნაგებობებით, 0.8 ჰა მიწის ნაკვეთით. ტელ: (558) 108449.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით. ტელ: (568) 612438.

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, ბელეტაჟი სახლი. ტელ: (598) 284418.

ჩოხატაურში, ყოფილ სახანძროსთან 50 კვმ. მიწის ნაკვეთი. ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურში, სასამართლოს შენობასთან ახლოს, სახლი. ტელ: (558) 447300.

ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზართან, უნივერმაღის გევრდით, 45 კვმ. ფართის შენობა. ტელ: (591) 154545.

დაბა ჩოხატაურში, ფიროსმანის 3-ში, კაპიტალური სახლი, 4 საძინებლით, დიდი მისაღები ოთახით, კორიდორული სისტემით, გაზის და წყლის შეყვანის პერსპექტივით (მიყვანილია ეზომდე) 1700 კვმ.

მიწის ნაკვეთით. ტელ: (598) 311824.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, 2-სართულიანი სახლი სველი წერტილებით, ბუნებრივი აირით, მიწის ნაკვეთით, ვაზით ("ცოლიკაური"). ფასი შეთანხმებით. ტელ: (593) 947227.

ჩოხატაურში, სოფ. ინტაბუეთში, სახლი, ავეჟით, დამხმარე ნაგებობებით, თხილისა და მანდარინის მოსავლიანი ბაღით, საყანე ფართობით. ტელ: (577) 617559.

6 ჰა მიწის ნაკვეთი, შემორობილი. 1 კვმ. _ 3 ლარი. ტელ: (599) 067400.

2-სართულიანი სახლი, 10/10-ზე, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთი, 2000 კვმ. ტყით, მანდარინის, კივის, ფეიხოიას, ლიმონის, თხილის ბაღებით, ეზო რკინის მესერითაა შემოღობილი. რკინის შველერი 6,4 მ. უჟანგი რკინის ავზი 120- ლიტრიანი. ჩოხატაური, სოფ. ჩაისუბანი (სოფლის ცენტრში), ტელ: (599) 141703, (599) 179979.

2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი, ბუნებრივი აირით. ჩოხატაური, სოფ. ახალშენი, ტელ; (591) 287441.

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21, კინოთეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი. ტელ: (514) 415353.

ავტომანქანა "mersedes benci-E 124" (ე.წ. "ეშკა"), იაპონიიდან ჩამოყვანილი, ქარხნული, მარცხენა საჭით, ორიგინალი, 108 000 კმ. გარბენით. ფასი შეთანხმებით. ტელ: (598) 108118.

ავტომანქანა "ოპელ ექსტრა" სედანი, ძრავა 1,6 ბენზინზე, 1998 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში. ტელ: (551) 175338, დოდო.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100". ტელ: (558) 447300.

მაკე ცხენი. ტელ: (568) 280214.

ავტომანქანა "ოპელ ასტრა ფურგუნი", 1996 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ელექტრო შუშებით, კონდიციონერით, ABS, ჰიდრავლიკა, 1.6-იანი ძრავით. ტელ; (598) 808908, გიორგი.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 175338, დოდო.

ღვინო "ცოლიკაური", 400 ლიტრი. ტელ: (574) 053485.

18-22 კგ-იანი ბურვაკები. ტელ: (593) 356757.

კივის ნერგები. ტელ: (558) 976064.

მაკე ძროხა, მეორე ხბოობა. ფასი შეთანხმებით. ტელ: (599) 414030.

3 წლის და 5 თვის მაკე ფური და 2 წლის ფური. ტელ: (555) 350189, (593) 309320, (790) 950189.

უშობელი 150 კგ-იანი. 2-ტონიანი ნავთის ავზი. ტელ: (577) 926243.

კარგი ჯიშის ძროხა, 6 თვის მაკე, მეორე ხბოობა, 8 ლიტრი წველადობის, 9 თვის მოზვერი ხბოთი. შეიძლება გაიყიდოს ცალ ცალკეც. ტელ; (599) 607585.

80 კგ-იანი ღორი. ღვინო "ადესა". ტელ: (595) 752729.

90 კგ-მდე ღორი. ფასი შეთანხმებით. ტელ; (568) 830104, (790) 428717.

ტახი ღორი, 90 კგ. ტელ: (557) 641700.

გოჭები. ტელ: (593) 344583.

### ქირავდება!

ჩოხატაურში, ცენტრალურ ადგილზე, 9 აპრილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის ნაწილი. ტელ: (593) 715174.

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი. ტელ: (577) 957903.

### შევიძენ!

ან იჯარით ავიღებ 10 ჰექტარამდე მიწის ფართობს. ტელ: (593) 116012, (557) 246902.

კომერციულ ფართს ჩოხატაურის ცენტრში. ტელ: (593) 909343.

200 ცალ აკაციის ბოძს. ტელ: (599) 166389.

### უფასო განცხადების ტალონი
### №102

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

---------------------------------------------------

ტელეფონი: ---------------------------------------

# ივლიტა და რაფიელ ჯიბუტები




ივლიტა შვილო, 2015 წლის ღამეს მოულოდნელად მესტუმრე და მომილოცე ახალი წელი. რა ბედნიერი ვიყავი, როგორ გამახარე, როგორი ლამაზი იყავი, როგორი სიხარულით მელაპარაკე შენს სწავლასა და წარმატებებზე.

ახლა, შვილო, მე, შენგან გაუბედურებული, გილოცავთ შენ და ბაბუაშენს ახალ 2016 წელს. ჩემთვის, შვილო აწი ახალი წელი აღარ გათენდება. ჩემი დრო გაჩერდა, შენ რომ დამღუპე იმ დღეს. ჩემო სტიქიას შეწირულო მსხვერპლო, ჩემო ანგელოზო.

**უფალმა ნათელში გამყოფოს.**

*უბედური ბებიაშენი გუგული*

## რევაზ ელიაშვილი



28 დეკემბერს 40 დღე სრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გვიჭირს უშენობა.მადლობა შენი ასეთი კაცურკაცობისთვის, რაც საზოგადოებამ დაგაფასა, პატივი გცა, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო რევაზ.

*ოჯახი*



ვერიკო, პაატა შარაშიძეები თანაუგრძნობენ ნანა, თედორე, ალეკო ცხოიძეებს ქალბატონი

**ლუბას**

გარდაცვალების გამო.



ჯემალ მდინარაძის ოჯახი იუწყება თანაკლასელის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.



გურამ მეგრელიძე ოჯახით იუწყება თანაკლასელის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.



ვალიდა, ოთარ ანთიძეები, თამარ, ელგუჯა ჩხიკვაძეები თანაუგრძნობენ ნანა ცხოიძეს დედის

**ლუბას**

გარდაცვალების გამო.



სულხან ბერიძე ოჯახით იუწყება კლასელისა და საუკეთესო მეგობრის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს



გულიკო კობიძე ოჯახით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## რეზო ლომთაძის მონატრება



ტკივილითა და მონატრებით მოვიდა შენი დაბადების დღე, ვერაფერი ავსებს იმ სიცარიელეს შენი წასვლით რომ დამიტოვე. 25 დეკემბერს, შენს დაბადების დღეს, მოვალთ შენს საფლავთან ყვავილებითა და ცრემლებით, აგინთებთ სანთლებს, მაგრამ შენ ვერ დაგვხვდები იუმორითა და ტკბილი სიმღერით. უფალს ვთხოვთ, არ მოაკლოს შენს სულს ღვთიური მადლი. ვერაფერი მიამებს იმ ტკივილს, უშენობა რომ ჰქვია.

*შენი ლამარა*

გურამ, გელა შათირიშვილები, გოჩა კიკვაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ვასიკო, მაიკო ვაჩეიშვილებს ძმისა და მაზლის გარდაცვალების გამო.

ეკა გურჯიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.



ზურაბ გიორგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.



გალაქტიონ მეგრელიძე, ლეილა კოტრიკაძე, იოსებ მეგრელიძე ოჯახებით იუწყებიან ღვაწლმოსილი ადამიანის, კაცური კაცის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას.



რევაზ თედორაძე ოჯახით თანაუგრძნობს გულივერ თოლორდავას ძმის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.



ერკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს რუსუდან ბერიშვილს მეუღლის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

## მადონა სიმონიშვილი



უფერულად მოდის მეორე 23 დეკემბერი, სიხარულის ნაცვლად ცრემლით ვხვდებით შენს დაბადების დღეს. შენ ჩემი ოჯახისთვის საყრდენი ბოძი იყავი და ჩემი შვილისთვის არა მარტო გამზრდელი დეიდა, მეორე დედა და დიდი მეგობარიც იყავი. ძალიან მიჭირს უშენოდ, ჩემო საყვარელო დაიკო. შენ გარეშე ფრთამოტეხილი ფრინველივით ვარ. ვლოცულობ შენი ლამაზი სულისთვის.ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ამინ!



ჟორა თოლორდავას ოჯახი მწუხარებით იუწყება ბიძაშვილის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.



და ნანი, სიძე გივი სიხარულიძე დიდი გულისტკივილით იუწყებიან

**ლენიკო ჯიბლაძის**

გარდაცვალებას.



უახლოესი მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა გელას ძე ვაჩეიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გელა და ნუნუ ვაჩეიშვილების ოჯახს.



ლომჯან თედორაძე ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს



ცისანა ოსეფაიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ლუიზა თავბერიძეს, ზაზა, ალექსანდრე, ლაშა თოლორდავებს მაზლისა და ბიძის

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

## მადონა (ია) სიმონიშვილი-ცინცაძე



ჩემს ტკივილს უშენობა ჰქვია. წარმოუდგენელია შენ გარეშე შენი დაბადების დღე. ვლოცულობ და ლოცვებში დაგეძებ. 23 დეკემბერია და ჩვენი ოჯახი უხალისოდ ხვდება ამ დღეს, სიზმრებში მუდამ ჩვენთან ხარ, მამხნევებ მე და ამხნევებ შენს შვილებს და შვილიშვილებს. მძიმეა ჩემი ხვედრი უშენოდ, ჩემო მეუღლევ და ჩემო ერთგულო მეგობარო.

უფალს ვთხოვთ, სამარადისო სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს.

*როლანდი*



შვილები გოჩა, ნატო ტრაპაიძეები, რძლები მარინა ტრაპაიძე, მარიამ შიუკაშვილი, სიძე გია ჭანტურია, შვილიშვილები რეზო, გიორგი ტრაპაიძეები, თემურ, ლევან ჭანტურიები, შვილთაშვილი ნატა ჭანტურია, დედმამიშვილები ლერი, ჯუმბერ, მაყვალა ეზიეშვილები, მძახლები კლარა ჭანტურია, ლუბა სემიონოვა იუწყებიან

**ზაირა ეზიევილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: პარასკევს, 25 XII.
დაკრძალვა: შაბათს, 26 XII.
ჩოხატაური, სოფელი ქვენობანი.



ცისანა გოგოლაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ზაურ ოსეფაიშვილს ძმის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.



ნუგზარ, მალხაზ კეკელიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და ოჯახის უახლოესებს.



შოთა ფოცხიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.



მამიდა აზა ახალაძე, მამიდაშვილები გოგა, თამუნა და ლალი ოჯახებით თანაუგრძნობენ გელა ვაჩეიშვილის ოჯახს შვილის გარდაცვალების გამო.

მზია, სოსო, ოთარ ცინცაძეები, დათო კალანდაძე, მალხაზ დოლიძე, რუსიკო მეგრელიშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ვასიკოს და მაიას ძმისა და მაზლის

**გოჩა ვაჩეიშვილის**

გარდაცვალების გამო.



სულხან ბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ და პაატა ოსეფაიშვილებს საყვარელი ძმის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.



დოდო თოდრია ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ რუსუდან ბერიშვილს, ოჯახსა და ახლობლებს

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო.

## ონივერ რამიშვილი



ჩემო ძამიკო, 2 იანვარს 40 დღე გახდება რაც წახვედი და თან გაიყოლე ჩემი გული.

*დაიკო ციალა, სიძე არსენი*



მწუხარებაში მყოფი დედა ნუნუ ცინცაძე, მამა გელა, ძმები მანუჩარი, ვასო, გოდერძი, ძმისშვილები გიორგი, ლაშა ვაჩეიშვილები, რძლები ირმა ათათია, მაია დოლიძე, ბიძა გოგი, მამიდა აზა, მამიდაშვილები, ბიძაშვილები უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა გელას ძე ვაჩეიშვილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 25 XII, 17 საათზე
დაკრძალვა: 26 XII, 15 საათზე



რძალი ლუიზა თავბერიძე, ძმისშვილები ევგენი (ზაზა), ალექსანდრე, ლაშა თოლორდავები დიდი გულისტკივილით იუწყებიან ბიძის

**ანზორ ევგენის ძე თოლორდავას**

გარდაცვალებას.



დავსტირით, თანაგიგრძნობთ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს

**ნოდარის**

სული.

*ბონდო ბენდელიანის ოჯახი*



თამრიკო გიორგაძე ოჯახით თანაუგრძნობს მედიკო ახალაძის ოჯახს

**ლეო ახალაძის**

გარდაცვალების გამო.



ანზორ საბაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ, პაატა ოსეფაიშვილების ოჯახებს ძმის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.



რევაზ დოლიძე ოჯახით იუწყება

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

ციალა, ვახტანგ, მაია, ვახო, ცირა სიხარულიძეები ოჯახით, გულისტკივილს გამოვხატავთ

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ მწუხარებას მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს.



გულიკო აბუსერიძე ოჯახით იუწყება

**ლუბა აბუსერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.



რევაზ თედორაძე ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული პიროვნების

**ანზორ თოლორდავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს, ნათესავებს და ახლობლებს.

**"გურია ნიუსის"** რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახებს და ახლობლებს _ **ზაირა ეზიეშვილის, გოჩა გელას ძე ვაჩეიშვილის** გარდაცვალების გამო.

# ორთაბრძოლების ფესტივალი აბსოლუტური ჩემპიონატი კარატეში

**20 დეკემბერს თბილისში, ძიუდოს სასახლეში, გაიმართა ორთაბრძოლების საქართველოში არსებული ორგანიზაციების ფესტივალი, იდეის ავტორი და ორგანიზატორი სსდს-ის უფროსი ანზორ ჩუბინიძეა.**



ფესტივალში მონაწილეობდნენ ხრიდოლის, შავფაროსნების, კარატეს, აიკიდოს, ტაეკვანდოს, კენდოს, ჯიუ-ჯიცუს, სუმოს, კიკბოქსინგის და კუდოს ფედერაციები.

შვიდკაციანმა კომპეტენტურმა ჟიურიმ გამარჯვებულად ორი ორგანიზაცის სცნო: შავფაროსნებისა და კარატეს წარმომადგენლები.

შემდეგ ჩატარდა საქართველოს ღია აბსოლუტური ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში. მამაკაცთა შორის ჩემპიონი გახდა მიხეილ წიკლაური, ქალთა შორის _ თამარ ბიბილეიშვილი.

ჩოხატაურელი გია გვენეტაძე იყო ჟიურის წევრი და კარატისტთა გამარჯვებული ჯგუფის მონაწილე-ხელმძღვანელი, კარატეს ჩემპიონათში კი ცენტრალური მსაჯის (შუშენი) პოზიციაზე.

ფესტივალის და ჩემპიონატის გამარჯვებულებს პრიზები და სოლიდური ფულადი ჯილდოები გადასცა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა.

მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, აღნიშნულმა ღონისძიებამ ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველწლიურად ჩატარდეს.

# გიორგი ქვილითაია: ახლა მხოლოდ "დინამოზე" ვფიქრობ

**"ლელო" და "ლიდერბეთი" ტრადიციას აგრძელებენ. ამჯერად, დასახელდნენ ნოემბერ-დეკემბრის საუკეთესო მწვრთნელი და გამორჩეული ფეხბურთელები...**




საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში პირველობა არავის დაუთმო საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის თავკაცმა გია გეგუჩაძემ. თბილისის "დინამომ" ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 5 მატჩი ჩაატარა და ხუთივე მოიგო. საქართველოს თასზე კი გეგუჩაძის შეგირდებმა 2 შეხვედრა ჩაატარეს და აქაც ასპროცენტიანი შედეგი აჩვენეს.

ნოემბერ-დეკემბრის საუკეთესო ფეხბურთელად კი ასევე თბილისის "დინამოს" 22 წლის შემტევი გიორგი ქვილითაია მივიჩნიეთ. ქვილითაიასთვის სეზონის ეს მონაკვეთი მართლაც შესანიშნავი იყო. მან 7 ოფიციალურ შეხვედრაში 8 გოლის გატანა მოახერხა!

"ბიბლუს გალერიში" გამართულ ღონისძიებას დავით პეტრიაშვილის დაღუპვის გამო ვერ დაესწრო გია გეგუჩაძე. ამ ტრაგედიამ, რომელმაც სრულიად საქართველოს საფეხბურთო სამყარო შეძრა, მუდამ საინტერესო და ემოციური ღონისძიება ძალიან დაამძიმა...

დაჯილდოების ცერემონიალს გიგა გვენცაძე უძღვებოდა.

გიორგი ქვილითაია გაზეთ "ლელოს" საპატიო რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ დააჯილდოვა. მასვე, გიგა გვენცაძისგან გადაეცა გეგუჩაძისათვის სარგო ჯილდოც.

ქვილითაიასთვის მიმდინარე სეზონი მართლაც ძალიან წარმატებულია. საქართველოს ჩემპიონატში მის ანგარიშზე 12 გოლია და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება "ცხინვალის" ფორვარდ ნიკა კაჭარავას.

შეგახსენებთ, რომ ქვილითაიამ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე მოასწრო უცხოეთში თამაში _ ის სხვადასხვა დროს ორჯერ იცავდა უნგრული "დიორი ეტოს" ღირსებას.

გიორგის გაზეთი "ლელო" ესაუბრა.

***_ სეზონის პირველი ნახევარი როგორი იყო თქვენთვის?***

*_ ჩემთვისაც და "დინამოსთვისაც " წარმატებული იყო სეზონის პირველი ნახევარი. გუნდმა გადაჭრა ამ ეტაპისთვის დასახული ამოცანა და მოიპოვა "ზამთრის ჩემპიონის" ტიტული. ასევე, გუნდი გავიდა საქართველოს თასის ნახევარფინალში.*

***_ როგორ ფიქრობთ, იმაზე მეტის გატანა თუ შეგეძლოთ, ვიდრე გაიტანეთ?***

*_ ალბათ, შემეძლო, თუმცა უკმაყოფილო ვერ ვიქნები. მთლიანობაში, ყველა ტურნირს თუ ავიღებთ, 15 გოლი დამიგროვდა.*

***_ როგორ დაახასიათებთ დღევანდელ თბილისის "დინამოს"? როგორია გუნდის "შიდა სამზარეული"?***

*_ ერთმუშტად შეკრული გუნდი გვყავს. პირდაპირ ვიტყვი, რომ "დინამო" ერთი დიდი ოჯახია.*

***_ საქართველოს ჩემპიონატზე რა აზრის ხართ?***

*_ ჩემი აზრით, საქართველოს ჩემპიონატი ძალიან არაპროგნოზირებადია. ბევრ სტადიონზე მინდვრის საფარი ისეთია, ძალაუნებურად გუნდების დონე თანაბრდება.*

***_ თავად მიადექით მნიშვნელოვან პრობლემას. მინდვრები ხელს გიშლით შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენაში?***

*_ "დინამო არენა", გორისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონები გამონაკლისია საქართველოში, სადაც ნორმალურად შეიძლება ფეხბურთის თამაში.*

***_ ცალკე მინდა გკითხოთ ალექსანდრე იაშვილზე. რას ნიშნავს თქვენთვის "დინამოს" წინა ხაზში ესოდენ გამოცდილ ფეხბურთელთან ერთად თამაში?***

*_ მისგან ძალიან ბევრი ვისწავლე და კიდევ ვსწავლობ. დაწერეთ პირდაპირ - ის თანამედროვე ქართული ფეხბურთის ნამდვილი ლეგენდაა. ერთი სიამოვნებაა მასთან ერთად ვარჯიში და თამაში.*

***_ შევიტყვეთ, რომ თქვენით უცხოური გუნდები არიან დაინტერესებულნი. რჩებით "დინამოში"?***

*_ პირადად, მე ნამდვილად არავინ დამკავშირებია. ახლა მხოლოდ თბილისის "დინამოზე" ვფიქრობ. სეზონის მეორე ნახევარში ჩვენ წინაშე ძალზე საპასუხისმგებლო ამოცანები დგას.*

***_ ცხადია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის იმედიც გექნებათ...***

*_ ჩემი მიზანი საქართველოს ნაკრებში მოხვედრაა ჯერ კიდევ მას მერე, რაც 7 წლის ასაკში დავიწყე ფეხბურთის თამაში.*

*sportall.ge*

# ქართულმა გუნდებმა მეორე დივიზიონში პოზიცია გაიმყარეს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მორიგი, მე-13 ტურის მატჩების შემდეგ გათამაშების სატურნირო ცხრილში ლიდერთა შორის არაფერი შეცვლილა.** ლიდერმა, ზაზა ნავროზაშვილის "ლიონმა" უახლოესი მდევრის, ანტონ ფეიქრიშვილისწაფორხილებით ისარგებლა და სხვაობა კიდევ უფრო, 14 ქულამდე გაზარდა.

ფეიქრიშვილის ბასკურმა გუნდმა, მოულოდნელად, სტუმრად წააგო აუტსაიდერთან,გიორგი ზაქაშვილის "ექსთან" _ 15:17.

ფეიქრიშვილმა, რომელმაც 2015 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზა, როგორც ჩანს, დანავსული პერიოდი გაიარა. მძიმე ტრავმებისა და ოპერაციის შემდეგ ანტონი ნელ-ნელა ფორმაში შედის და, სავარაუდოდ, მალე ელიტურ პირველ დივიზიონს დაუბრუნდება. საგულისხმოა, რომ საპლეიოფო ზონაში მყარად მოიკიდეს ფეხი ქართველ მორაგბეთა გუნდებმა: "ორიაკმა" და "ბეზიემ".

ლევან დათუნაშვილის, მერაბ შარიქაძის, გიორგი შარაშიძისა და ნიკოლოზ ხატიაშვილის "ორიაკმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ბექა შეყლაშვილისა დავახტანგ მაისურაძის "ალბი" _ 15:13. ლაშა ლომიძის "ბეზიემ" კი უშუალო კონკურენტი, გიორგი მჭედლიშვილისა და დიმიტრი ბასილაიას "პერპინიანი" ჩამოიცილა გზიდან - 27:22.

*sportall.ge*

## საშობაო-საახალწლო საჩუქარი ოზურგეთელებს!

26 დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთში, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტში უმრავლესობის ლიდერის, ზვიად კვაჭანტირაძის პირადი ინიციატივითა და უშუალო ხელშეწყობით, ქ. თბილისში სამი სამედიცინო ცენტრის მმართველი კომპანიის მიერ (მთავარი ექიმი დიმიტრი ტოკლიკიშვილი) ქალაქ ოზურგეთისა და მუნიციპალიტეტის თემების მოსახლეობა უფასო სამედიცინო მომსახურეობით ისარგებლებს.

მაღალკვალიფიციურ ექიმთა ჯგუფი მოსახლეობას უფასო კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებით გაუწევს:

**კარდეოლოგია, ალერგოლოგია, თერაპია, პედიატრია, ენდოკრინოლოგია, უროლოგია, ნევროლოგია, ონკოლოგია, რევმატოლოგია, გინეკოლოგია.**

**სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრი "საქიმო". გთხოვთ მობრძანდეთ!**



*პატივისცემით,*
*ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის,*
*ზვიად კვაჭანტირაძის ბიურო.*
*მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჩოხატაურის ქ. # 20.*

## მილოცვები

**გოჩა სიხარულიძეს!**



ოჯახის საყრდენო ძალავ, გილოცავთ 50 წლის იუბილეს. მრავალს დაესწარი შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*შენი ოჯახი*



50 წლის იუბილეს ვულოცავთ ჩვენი ოჯახის უახლოეს მეზობელს

**გოჩა სიხარულიძეს!**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

*ტატიანა ბარამიძის ოჯახი*

## მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას**, საკრებულოს თავჯდომარეს **ზაალ მამალაძეს,** დეპუტატ **რამაზ უჯმაჯურიძეს.** მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი ოჯახის გასაჭირი და გამოგვიყვეს სახლის სახურავი.

*სიმონ მეფარიშვილი*

მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას**, ბუკისციხის დეპუტატს **ქეთევან სიხარულიძეს**, რწმუნებულს **გელა ეზიეშვილს, იური ჯინჭარაძეს** რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და მოგვცეს სახლის სახურავი, მასალა.

*დალი სიხარულიძე*

კლინიკა **"მამქოლის"** კარდიოლოგს **ნინო კუტუბიძეს**, ნევროპათოლოგ **რუსიკო შუბლაძეს**, მთავარ ექთანს **ეკა გოგელიას** მთელ მედპერსონალს მადლობას ვუხდით გაწეული სამედიცინო დახმარებისთვის. ღმერთმა ამრავლოს თქვენნაირი კეთილი ადამიანები.

*მადლიერი პაციენტები _ ოთარ, ვალიდა ანთიძეები*

მინდა გამოვხატო ჩემი მადლიერება რაიონის გამგებლის ბატონი **ირაკლი კუჭავას,** სპეციალისტი **ზაზა ცინცაძის,** პროექტის მენეჯერის **დათო გოგუაძის** და ყველა იმათ მიმართ, ვინც გვერდში დამიდგა და მომცა შესაძლებლობა სახელმწიფო პროგრამაში მიმეღო მონაწილეობა და ამეწყო ჩემი ბიზნესი.

*მადლიერი "ინდმეწარმე" რუსიკო სიხარულიძე*

## ამინდის პროგნოზი გურიაში




მარიამ ცინცქერაძე
8 წლის




ნიქა ნიქაური
7 წლის




თემო ჩოგაძე
8 წლის




ელენე ყიფიანი,
8 წლის

გურიის ახალგაზრდული გაზეთი

№42

24 დეკემბერი, 2015 წელი

# დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ!

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ერთობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის ოჯახისთვის და სრულიად საქართველოსთვის ახალი 2016 წელი.



ყოველი ახალი წლის
დადგომა ახალი საქმეების
წამოწყების, ოცნებების
და სურვილების ასრულების
საწინდარია.
ამიტომ გისურვებთ,
რომ ყველა ის ჩანაფიქრი და
სურვილი, რომელიც თქვენ,
თქვენი ოჯახების
და სახელმწიფოს
კეთილდღეობისკენაა
მიმართული,
აგისრულდებათ.

ვულოცავ ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. გახსოვდეთ, რომ განათლებული თაობა – ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა, რაც საშუალებას გვაძლევს, ვაშენოთ ძლიერი სახელმწიფო, რადგან განათლებული თაობის გარეშე ქვეყნის წინსვლა და განვითარება შეუძლებელია. მხოლოდ განათლებულ ადამიანს, რომელსაც აქვს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, შეუძლია, გააკეთოს საკუთარი არჩევანი და განსაზღვროს ქვეყნის მომავალი უკეთესობისკენ. და, ღირსეულად გავუმკლავდეთ, დავძლიოთ სირთულეები და წარმატებები გვქონდეს, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე. ჩვენმა ქვეყანამ ღირსეული ადგილი დაიკავოს ცივილიზებულ მსოფლიო თანამეგობრობაში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ბედნიერ მომავალს!

*პატივისცემით, ზაზა ურუშაძე,*
*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ამ დღესასწაულს. გისურვებთ ეს წელი ყოფილიყოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი თქვენი ყველაზე თამამი და სანუკვარი ოცნებების ახდენის საქმეში!

ახალ 2016 წელს აევსოს სითბოთი და სინათლით თითოეული თქვენგანის გული, შეეტანოს ხვავი და ბარაქა თითოეული თქვენგანის ოჯახში, სიყვარული და ერთობა სრულიად ერში.

უფალმა დაგლოცოთ, გაგამრავლოთ და გაგაძლიეროთ!





ყოველი ახალი წლის დადგომა ახალ იმედებთან და უკეთესი მომავლის სურვილთან არის დაკავშირებული.
მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება, დღეგრძელობა, კეთილდღეობა!
გილოცავთ ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს!
გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი!
ისწავლეთ, იკითხეთ და გამოადექით ჩოხატაურს, საქართველოს!
იღბლიანი, წარმატებული, ბედნიერებისა და მშვიდობის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი!
ღმერთმა გაგაძლიეროთ!

*საუკეთესო სურვილებით, ვლადიმერ სიხარულიძე,*
*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*

**სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი გილოცავთ ახალ 2016 წელს! სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს ყველა ადამიანისთვის!**

**ბ-4**

დაფინანსებული ფართი

# დიდივანის საჯარო სკოლა
# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გურიის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელი დიდივანის
საჯარო სკოლის მოსწავლეები 2016 წლის შემობრძანებას
**ვულოცავთ**
ამავე სკოლის მასწავლებლებს, ჩოხატაურის საგამანათლებლო
რესურსცენტრის ხელმძღვანელს შორენა სიხარულიძეს
და მის ერთგულ თანამშრომლებს, რომლებიც დროულად
დაგვეხმარნენ ნოემბრის სტიქიის დღეებში,
მადლობა სკოლის დირექტორს _ გიორგი რამიშვილს.

ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს
და თავიანთ სამსახურებრივ საქმიანობაში წინსვლას
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასარგებლოდ.

მრავალ ახალ წელს დაესწარით, ჩვენო კეთილო ადამიანებო!
ჩვენც ვეცდებით გაგიმართლოთ იმედები!

*პატივისცემით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ დიდივანის საჯარო სკოლის მოსწავლეები*


მოსწავლეთა ერთი ჯგუფი


თამთა რამიშვილი


ნანა რამიშვილი


თავისუფალი
მსმენელი
ლანა რამიშვილი


ანა ჯინჭარაძე და ვასილ რამიშვილი


მარიამ რამიშვილი მათემატიკის გაკვეთილზე


დათო რამიშვილი


ანა რამიშვილი


ნათია რამიშვილი







დაფინანსებული ფართი

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა 55 წლისაა!

**2015 წელს სამუსიკო სკოლას დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა. აქ ბევრი ნიჭიერი თაობა აღიზარდა. სკოლა მოსწავლეებს დაწყებით სამუსიკო განათლებას აძლევს, სწავლება 6-წლიანია.**

**სამუსიკო სკოლაში 150 მოსწავლე სწავლობს (საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებაზე) ფორტეპიანოზე, ფლეიტაზე და ხალხურ საკრავებზე დაკვრას; მუსიკალური სმენა უვითარდებათ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ფოლკლორულ და საესტრადო ჯგუფებში.**







**2015 წელს ჩატარებული ღონისძიებები:**

26 მაისი _ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი სამუსიკო სკოლის დარბაზში.

1 ივნისი _ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი აკადემიური, საანგარიშო კონცერტი კინოთეატრ "გურიაში" ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

დამამთავრებელი კლასის კაფე-საღამო "ერთად მომავალშიც...! "

VI კლასის მოსწავლეების: ქრისტინე გუდავაძის /სოლო/ საფორტეპიანო კონცერტი სამუსიკო სკოლის დარბაზში და ლილიანა ლომინეიშვილის /სოლო/ საფორტეპიანო კონცერტი კინოთეატრ "გურიაში" ქუთაისის კამერულ ორკესტრთან ერთად.

გიორგობისა და ბარბარობის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღია კონცერტები.

ტრადიციული საახალწლო კარნავალი სამუსიკო სკოლის დარბაზში.

2015 წლის ერთ-ერთი წარმატებაა ასევე ვაჟთა ჯგუფის ( ხელმძღვანელი: თ. გურგენიძე) გამარჯვება საქართველოს ხელოვანთა კავშირის მიერ მოწყობილი კლასიკური მუსიკისა და მე-8 რესპუბლიკურ ფესტივალზე _ "მომავლის ვარსკვლავები 2015 ". ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გალა კონცერტზე. მონაწილეები დაჯილდოვდნენ დოპლომებით "საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის" და მიიწვიეს თურქეთსა და ბაქოში საერთაშორისო ფესტივალის გალა-კონცერტზე.

სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს თავიანთი მიზნების გახორციელებაში მხარდაჭერას და ფინანსურ თანადგომას უცხადებს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

**დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ!**
**მშვიდობის, ხვავისა და ბარაქის წელი ჰქონოდეს მთელ საქართველოს...**

*პატივისცემით, ქეთევან გიორგაძე,*
*სამუსიკო სკოლის დირექტორი*

დაფინანსებული ფართი

**ძვირფასო ჩოხატაურელებო,**
**გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**
**გისურვებთ, ეს წელი ყოფილიყოს ბედნიერების მომტანი თითოეული თქვენგანის ცხოვრებაში!**

საბიბლიოთეკო გაერთიანება ულოცავს და მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოებისთვის და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ბიბლიოთეკების განვითარების საქმეში.

საბიბლიოთეკო გაერთიანება შობა-ახალ წელს ულოცავს გაერთიანების ყველა თანამშრომელს, წინსვლას წარმატებებს, ხვავს, ბარაქას და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს.













გაერთიანებასთან არსებული შშმ პირთა მომსახურების ცენტრი ახალ წელს ულოცავს ცენტრის ბენეფიციარებს და მათ მშობლებს, ყველა იმ ქველმოქმედ ადამიანს, რომელიც ზრუნავს შშმ პირთა მომსახურების ცენტრის განვითარებისთვის.

# სსს "მომავალი" ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ!

რამდენიმე დღეც და ბევრი სიახლის და წარმატებების მომტან 2015 წელს გავაცილებთ.

წლევანდელი წელი ნაყოფიერი იყო _ ამ წელს გაიხსნა ზოტის საბავშვო ბაღი, სოფელ ერკეთის საბავშვო ბაღს კი თანამედროვე სტანდარტებით აშენებული, ყველა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი შენობა გადაეცა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ კოხნარის, ბუკნარის და ქვენობნის საბავშვო ბაღებს. წლის განმავლობაში ყველა საბავშვო ბაღში ტარდებოდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ღია და ინტეგრირებული მეცადინეობები.

შპს "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების სემინარებისა და ტრენინგების ცენტრის" მიერ გაერთიანების ყველა მზარეულს, თანაშემწეს, სამნეო ნაწილს, მეღდებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენიგნები ჩაუტარდათ. მუსიკის ყველა პედაგოგმა მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. ბევრი რამ მოწესრიგდა სურსათის უვნებლობის კუთხით, ყველა ბაღს აქვს დეზობარიერები, გაკრულია მწერებისგან დამცავი ბადეები. შპს სადეზინფექციო ცენტრ «ჰიგიას» მიერ საბავშვო ბაღებში ჩატარდა სადერატიზაციო-სადეზინფექციო სამუშაოები და აღებულ იქნა წყლის სინჯები.

საბავშვო ბაღები აქტიურად თანამშრომლობენ ხობისა და ოზურგეთის თოჯინების თეატრთან, რომლებიც ხშირად სტუმრობენ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს.

სსს "მომვალმა" საახალწლოდ 650 ბავშვს საჩუქრები გადასცა. საერთაშორისო არსამთავრობო ორგანიზაცია campus lions club Tbilisi მეორე წელია, რაც აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ბრენდთან კომპანია lego toys-თან. ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში მან ორჯერ მოიპოვა გრანტი და მიენიჭა პრიორიტეტი ლეგოს სათამაშოების დარიგების კუთხით. ორგანიზაცია 2015 წლის 28 ნოემბერს სტუმრობდა სსს ,,მომავალს» და სამ საბავშვო ბაღს უსასყიდლოდ გადასცა ლეგოს სათამაშოები. ყველა ბაღი აქტიურად ემზადება საახალწლო ღონისძებების ჩასატარებლად.









გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!
სიკეთის, სიხარულის, წარმატებების მომტანი ყოფილიყოს 2016 წელი!

დაფინანსებული ფართი

# საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და უსურვებს ჩვენს ულამაზეს რაიონს, ჩვენს ხალხს ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, ჩვილთა სიმრავლეს,**

**განათლებულ და ჯანმრთელ მომავალს. შეგვძლებოდეს ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა, მრავალ ბედნიერ ახალ წელს დასრწებოდეთ!**

## იყავით აქტიური

უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური აქტიურობა და ვარჯიში, პირველ რიგში, მდგრადი ჯანმრთელობისთვისაა საჭირო და მასზე ზრუნვაც იქამდე უნდა დავიწყოთ, სანამ პრობლემები იჩენს თავს. ფიზიკური აქტიურობა, ვარჯიში, სწორი კვება და წონის კონტროლი – დღეისთვის, გავრცელებული მრავალი დაავადების პრევენციის საშუალებაა.

ცხოვრების უმოძრაო წესი, რომელიც არაერთი, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მთავარი მიზეზია, მრავალ ქვეყანაში ეპიდემიად იქნა აღიარებული.

"*რეგულარული ფიზიკური აქტიურობა, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში რამდენიმე დღე ეთმობა, მნიშვნელოვნად ამცირებს სხვადასხვა გავრცელებული დაავადებების განვითარების და ასევე უდროო სიკვდილის რისკს*" – ასეთია აშშ-ს ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე წამყვანი ორგანიზაციების და შესაბამისი სახელმწიფო დეპარტამენტების რეკომენდაცია.

ფიზიკური აქტიურობა: ამცირებს უდროო სიკვდილის რისკს; ამცირებს გულის დაავადებებით გარდაცვალების რისკს; ამცირებს დიაბეტის განვითარების რისკს; ამცირებს მაღალწნევიანობის განვითარების რისკს;ეხმარება მაღალწნევიანობის შემცირებას, მათ, ვისაც უკვე აწუხებს აღნიშნული დაავადება; ამცირებს მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების რისკს; ამცირებს დეპრესიულ განწყობას და შიშებს; ეხმარება წონის კონტროლს; ეხმარება ჯანმრთელი ძვლების, კუნთების და სახსრების ქონას; აძლიერებს ხანშიშესულებს ფიზიკურად და ეხმარება იმოძრაონ დაცემის საფრთხის გარეშე;

ვარჯიში აუმჯობესებს მოქნილობას, ბალანსს, კოორდინაციას, ძალას, ენერგიას, სისწრაფეს, მეტად აძლიერებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, კუნთოვან ქსოვილებს და სხეულის კომპოზიციას. ასევე არეგულირებს სისხლის წნევას, ქოლესტერინის და გლუკოზის დონეს, ცხიმების წვას და ძვლების გამძლეობას.

ფიზიკურ აქტიურობას თავისუფალი გრაფიკი აქვს, ხოლო ვარჯიში კი სტრუქტურულ, გეგმიურ და განმეორებით დატვირთვებს მოითხოვს.

## სწორი კვება

დიეტოლოგები გვირჩევენ, მხოლოდ შინ, საკუთარი ხელით მომზადებული კერძები მივირთვათ, თავი ვარიდოთ სწრაფი კვების ობიექტებში ჭამას, რადგან არ ვიცით, რას მივირთმევთ ამ დროს, რამდენად ჯანსაღია საკვები, რომელსაც იქ გვთავაზობენ, დაცულია თუ არა სანიტარიული ნორმები. შინ, საკუთარ სამზარეულოში, ამას უკეთ მოახერხებთ. საჭიროა მხოლოდ, პროდუქტების გონივრულად შერჩევა შეგეძლოთ. ჯანსაღი კვება არც ისე ძვირია. თუ მაცივარს ასეთი საკვებით ავავსებთ, ფულსაც დავზოგავთ და ჯანმრთელობასაც. სასურველია, შინ ყოველთვის გქონდეთ: ბურღულეული, ზეთი, ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, კვერცხი, თევზი, რძე და რძის ნაწარმი. ეს პროდუქტები ჯანმრთელიც არის და იაფიც. კომბოსტო, ჭარხალი, შვრია, ლობიო, ბარდა მინიმალური შემოსავლის მქონე ოჯახებისთვისაც ხელმისაწვდომია. თუ რეგულარულად მიირთმევთ ჩამოთვლილ პროდუქტებს, თქვენს ორგანიზმს არასოდეს მოაკლდება ვიტამინები. თუ უარს იტყვით მზა საკვებზე _ ჰამბურგერებზე, კარტოფილის ჩხირებზე, ფუნთუშებზე, გაურკვეველი ხარისხის ტკბილეულზე და მათ ნაცვლად მიირთმევთ ხილს, ბოსტნეულს, რძის ნაწარმს, სალათებს, არა მარტო საკუთარ ბიუჯეტს გაუწევთ შეღავათს, არამედ მოხდენილობასა და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებთ.

## სიმსუქნის პრევენცია

უძრავი ცხოვრების წესის პროგრესირებასთან ერთად მოსახლეობის დიდ ნაწილს ჭარბწონიანობის და სიმსუქნის პრობლემა აწუხებს. სიმსუქნე დაკავშირებულია მრავალი დაავადების რაოდენობის ზრდასთან – მაღალწნევიანობის, ჰიპერლიპიდემიის, დიაბეტის, ართრიტის, სიმსივნის, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებასთან. ჭარბწონიანები უფრო ხშირად ექვემდებარებიან ჰოსპიტალიზაციას, ვიდრე საშუალო წონის ადამიანები.

5. სიგარეტისგან თავის შეკავება

სიგარეტს მავნებლობის და სხვადასხვა დაავადებების გამოწვევის მიზეზის მხრივ მაღალი მაჩვენებელი აქვს. ფილტვის კიბო და ემფიზემა პირდაპირ ასოცირდება მწეველობასთან. იგივე ეხება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ინფარქტის რიცხვი მაღალია მწეველებს შორის.

სიგარეტისგან თავის დანებების 2 წლის შემდეგ გულის დაავადებების რისკი მცირდება, ხოლო 5-10 წელიწადში კი რისკის დონე იგივეა, რაც არამწეველებში.

ვარჯიში, სიმსუქნის კონტროლი, სიგარეტისგან თავის შეკავება, სწორი კვება, ალკოჰოლის დოზის კონტროლი _ ეს ფაქტორები უპირველესია თქვენი ჯანმრთელობის დაცვის საკითხში.

**ცხოვრების სწორი წესის დაცვა საუკეთესო თავდაცვაა მრავალი დაავადებისგან!**

დაფინანსებული ფართი

# გაიცანით ზემოხეთის საჯარო სკოლა!

გვინდა მცირე ექსკურსია მოგიწყოთ და გაგაცნოთ ზემოხეთის საჯარო სკოლა: სკოლა მცირეკონტიგენტიანია, 2015-2016 სასწავლო წელს 12 მოსწავლით შევხვდით სწავლის დაწყებას. სამწუხაროდ, პირველ კლასში მოსწავლე არ მიგვიღია, მაგრამ სკოლის პედკოლექტივი დიდი ენთუზიაზმით და მომავლის იმედით შევუდექით საქმიანობას.

სკოლა მაქსმალურად ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ყოველთვის ახალისებს მოსწავლეების სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას.

2015-2016 სასწავლო წელს ჩატარებული ღონისძიებებიდან გამოვარჩევდით შემოდგომის ზეიმს, მოსწავლეებმა სიმღერები და ლექსები მიუძღვნეს შემოდგომის დადგომას. თითოეულმა ბავშვმა წარმოადგინა და განასახიერა შემოდგომის ნობათიდან არჩეული ხილი. გამოვლინდა გამარჯვებულები, მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. გვსტუმრობდნენ ჩოხატაურის რესურსცენტრის წარმომადგენლები, რომლებმაც ჩურჩხელების ამოვლებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

პირველი სემესტრის დასასრულს დაგეგმილი გვაქვს საახალწლო ღონისძიება. მოსწავლეებს გადაეცემათ სახალწლო საჩუქრები. გაიმართება შეჯიბრებები, გამოვლინდებიან გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში. მათ გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.

p.S. საახალწლო სურვილებს ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ სოფლის პირობები გაუმჯობესდეს და გაიზარდოს სოფლის მცხოვრებთა რიცხვი.

გეპატიჟებით მსურველებს!











*რეკლამის ფასები: პირველი გვერდი – 700 ლარი; ბოლო გვერდი – 350 ლარი;*
*მეორე გვერდი – 200 ლარი; მესამე გვერდი – 300 ლარი.*
*პოლიტიკური რეკლამის ფასი ორმაგია.*
*რეკლამის შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (555) 714-011.*
*გურიის ახალგაზრდული გაზეთის მისამართია:* ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №25.
373 636 (551) ☎ * ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქ. №128, I სართ. 903- 987 (571) ☎
*ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4, 404-182(599) ☎
E-mail: nato.gogelia@facebook.com
რედაქტორი: ნატო გოგელია